ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ქეთევან უტიაშვილი

კომისიის წევრი: თეიმურაზ თოდრია

კომისიის წევრი: ხათუნა ჩხაიძე

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.06.18

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/18

შეკითხვა:

რას გულისხმობს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება და გამოიწვევს თუ არა ადვოკატის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის ინფორმაციიის/დოკუმენტაციის მიწოდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევას?

ანალიზი:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის ერთი-ერთი პრინციპია: „ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა“.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7.1. მუხლის „ა“ პუნქტის მიხედვით ადვოკატი ვალდებულია:“დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად“.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი მე-3 პუნქტი: „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია მხოლოდ:

ა) კლიენტის თანხმობით,

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ასეთი ინფორმაციის გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და თუ მისი გამჟღავნება კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს;

გ) იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მისთვის წაყენებული ბრალდებისგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან მის მიერ მიუღებელი ჰონორარის თაობაზე სასამართლო დავის არსებობისას“.

ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3-ე მუხლის პირველი პუნქტი: “ადვოკატის ძირეული ფუნქციაა კლიენტისაგან მიიღოს ინფორმაცია, როელსაც ეს უკანსასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები, კონფიდენციალურობის უეჭველობის გარეშე, შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალურობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა“.

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 – პრინციპი I, მე-6 პუნქტი: მიღებულ უნდა იქნას ყველა აუციელებელი ზომა, რათა უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პატივისცემა. ამ პრინციპის გამონაკლისები შეიძლება დაშვებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონის უზენაესობის პრინციპებს შეესაბამება“.

ეთიკის კომისიისადმი დასმული კითხვა შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: 1. რას გულისხმობს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება? 2. გამოიწვევს თუ არა ადვოკატის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორისთვის ინფორმაციიის/დოკუმენტაციის მიწოდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევას?

ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების დაცვა არის „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი,[1] რომლის საფუძველზე ხორციელდება საადვოკატო საქმიანობა. ეს ნიშნავს იმას, რომ საადვოკატო საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები და მათი განმარტებები შესაბამისობაში უნდა იყოს ამ პრინციპთან. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტები[2], რომლებიც ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავენ პროფესიული

[1] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი

[2] გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ მე-8 პუნქტი:”ყველა დაპატიმრებული, დაკავებული ან საპყრობილეში მყოფი პირი უზრუნველყოფილი უნდა იქნას სათანადო შესაძლებლობით, დროითა და პირობებით თავის ადვოკატთან შეხვედრის,მასთან კომუნიკაციისა და კონსულტაციისათვის, დაყოვნების, შეჩერებისა და ცენზურისა და ცენზურის გარეშე, სრული კონფიდენციალურობის დაცვით. ასეთ კონსულტაციებს შეიძლება თვალყური ადევნოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელმა, მაგრამ მას მოსმენის უფლება არ აქვს“. ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის 2.3-ე მუხლის 2.3.1 პუნქტი, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2000)21 –პრინციპი I, მე-6 პუნქტი.

საიდუმლოების დაცვის მნიშვნელობას საადვოკატო საქმიანობაში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ პრინციპით უზრუნველყოფილია კლიენტის უფლების დაცვის საიმედოობა და სანდოობა.

პროფესიული საიდუმლოების ვალდებულების შინაარსი განმარტებულია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით, რომლის თანახმად, ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება, გასული დროის მიუხედავად და კლიენტის თანხმობის გარეშე, არ გაამჟღავნოს საადვოკატო -საქმიანობის განხორციელების პროცესში მისგან მიღებული ან/და მის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია (კონფიდენციალური ინფორმაცია); ამასთანავე, არ გაამჟღავნოს კლიენტის ვინაობა, თუ ეს კლიენტმა წინასწარ წერილობით მოითხოვა[3]. ამ პრინციპის დაცვა, შესაბამისად კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორია საადვოკატო საქმიანობაში. ამ მხრივ, ინტერესს იწვევს ადვოკატის ვალდებულებების ფარგლები „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე. კერძოდ, ამ კანონით გათვალისწინებული მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შესახებ ანგარიშგების ფორმას ადვოკატი აგზავნის იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშგების ფორმის გაგზავნა არ ეწინააღმდეგება მისი საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობით გათვალისწინებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.[4] კლიენტთან ურთიერთობაში პროფესიული საიდუმლობის დაცვის ვალდებულების ფარგლები მოცემულია, ასევე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი მე-3 ნაწილით. განსახილველი ნორმა იმპერატიული ხასიათისაა და ამომწურავად ადგენს ადვოკატის მიერ პროფესიული საიდუმლოების გამჟღავნების უფლებათა ჩამონათვალს, კერძოდ, ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია კანონით დადგენილ შემთხვევებში. ამ ნორმაში მოცემული ჩამონათვალი ამომწურავია და მისი გავრცობა დაუშვებელია. ეს ნიშნავს იმას, რომ განსახილველი პრინციპის თანახმად, პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია არ უნდა გახდეს ცნობილი მესამე პირისათვის, გარდა ზემოაღნიშნული ნორმებით მოცემული შემთხვევებისა. მესამე პირში იგულისხმება ნებისმიერი ფიზიკური, იურიდიული პირი ან ორგანიზაცია, რომელიც არ არის იურიდიული პირი. ამასთან მიმართებაში, საყურადღებოა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც უფრო ფართოდ განმარტავს განსახილველ საკითხს. კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით“. უნდა აღინიშნოს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მსგავსად,

[3] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7.1. მუხლი

[4] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7.1[1]. მუხლი, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5.5[1] მუხლი

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი „კონფიდენციალურობის იდენტურად იყენებს პროფესიული საიდუმლოების ცნებას, საადვოკატო საქმიანობის პრინციპებს შორის ადგენს და ადვოკატის მოვალეობად განიხილავს პროფესიული საიდუმლოების დაცვას“[5]. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლიs მე-3 ნაწილთან სრულ თანხვედრაშია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მე-4 მუხლის მე-4 ნაწილი, რომლის თანახმად „ადვოკატს შეუძლია გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია: ა)კლიენტის თანხმობის საფუძველზე; ბ) თუ ინფორმაციის ამგვარი გამოყენება წარმომადგენლობის ან დაცვის პროცესში გამართლებულია და აუცილებელია კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, იმ პირობით, რომ ასეთი ინფორმაციის გაცემა კლიენტს ადვოკატისთვის წინასწარ არ აუკრძალავს; გ) თუ ეს აუცილებელია ადვოკატის მიერ მის მიმართ წაყენებული ბრალდებისაგან ან მოთხოვნისგან თავის დასაცავად ან საკუთარი ჰონორარის მიღებისათვის“. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ „კონფიდენციალობის ვალდებულება არ არის შეზღუდული დროში“.

აქედან გამომდინარე, კონფიდენციალურია ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისათვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ადვოკატმა შესაძლოა სხვა წყაროდანაც მიიღოს კლიენტის საქმის თაობაზე ინფორმაცია საადვოკატო საქმიანობისას - ასეთი სახით მიღებული ინფორმაციის დროსაც მან უნდა დაიცვას ეთიკური ვალდებულება.

ადვოკატის მიერ როგორც არსებული კლიენტის, ისე ყოფილი ან პოტენციური კლიენტის საქმის თაობაზე არსებული ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის ვალდებულება დროში შეზღუდული არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ადვოკატის პროფესიული საიდუმლოება წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობის ერთ-ერთ პრინციპს, რომლის თანახმად, კანონით პირდაპირ დადგენილი გამონაკლისების გარდა, ადვოკატი ვალდებულია არ გახადოს კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი მესამე პირებისათვის, რაც არ არის შეზღუდული დროში.

ზემოაღნიშნული წესის დარღვევა იწვევს სპეციალური კანონითა და პროფესიული ეთიკის საფუძველზე განსჯას და პასუხისმგებლობას[6]. ამ საკითხთან მიმართებაში ყურადსაღებია ეთიკის კომისიის პარქტიკა. კერძოდ, 2016 წლის 12 იანვრის №010/15 რეკომენდაციის მიხედვით, ეთიკის კომისიამ იმსჯელა იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო ადვოკატის მიერ იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენლისთვის კლიენტის საქმის მასალების მიწოდება, იმ მიზნით, რომ მას შეეფასებინა ადვოკატის მიერ

[5] შეად. კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი., „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, 2011, გვ. 12

[6] „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7.2. მუხლი/ ასევე იხ. კვაჭაძე მ., გასიტაშვილი ე., ბოჭორიშვილი კ., კორძახია ი., „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის კომენტარები ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე დაყრდნობით, 2011, გვ. 12

კლიენტისათვის გაწეული მომსახურების ხარისხი. მოცემულ რეკომენდაციაში ეთიკის კომისიამ მიუთითა, რომ „საზოგადოებრივმა ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების შესაბამისად. ადვოკატმა არ უნდა გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია. კერძოდ, არ გადასცეს კლიენტის საქმესთან დაკავშირებული საქმის მასალები მონიტორინგის სამმართველოს წარმომადგენელს - შემფასებელს... „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ საზოგადოებრივი ადვოკატის მიერ საადვოკატო საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს საქართველოს კონსტიტუციით, ამ კანონით, "ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონით, სამსახურის დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით. ამავე მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, საზოგადოებრივი ადვოკატები ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად მოქმედებენ. სხვა რაიმე დათქმა „იურიდიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში, სადაც მითითებული იქნებოდა, რომ ადვოკატის საქმიანობის დამოუკიდებლობაში ჩარევა ან ადვოკატისა და კლიენტის ურითერთობის კონფიდენციალურობის გამჟღავნება შესაძლებელი იქნებოდა - არ არსებობს, გარდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილში მითითებული პირდაპირი დათქმებისა“.

განსახილველ შემთხვევაში, შეკითხვა ეხება იმ გარემოებას, დაარღვევს თუ არა ადვოკატი ეთიკურ ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ ის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს მიაწვდის კლიენტის საქმის თაობაზე ინფორმაციას, მათ შორის დოკუმენტაციას. ეთიკის კომისია აღნიშნავს, ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი და დამოუკიდებელი და ის ემორჩლება კანონსა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს. ადვოკატს თავისი პროფესიიდან გამომდინარე მოეთხოვება მაღალი ეთიკური სტანდარტის დაცვა. არც ადვოკატის პროფესიის და არც პერსონალურ მონაცემთა დაცვის თაობაზე მარეგულირებელი ნორმების მიხედვით არ არის დათქმა იმის თაობაზე, რომ ადვოკატს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის მიერ მოთხოვნისთანავე შეუძლია მას გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რაც მან მიიღო პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას და უკავშირდება ამჟამინდელი, ყოფილი თუ პოტენციური კლიენტის შესახებ ინფორმაციის და საქმის მასალის გადაცემას. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია, იმოქმედოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად და არ გაამჟღავნოს კონფიდენციალური ინფორმაცია, მათ შორის არ გადასცეს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს (მესამე პირს) დოკუმენტაცია ან ინფორმაცია, რამაც შესაძლოა, დააზიანოს თავად იმ პირის ინტერესები, რომელსაც ადვოკატი უწევს ან ადრე უწევდა იურიდიულ მომსახურებას. კლიენტის შესახებ ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს, არა მხოლოდ აღნიშნული პირის (კლიენტის), არამედ სხვა პირების თაობაზე ინფორმაციასაც, რომლის ინსპექტორისათვის გადაცემამ და მის მიერ აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებამ შესაძლებელია, დააზიანოს ამ პირთა ინსტერესებიც.

აქედან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ადვოკატს არა აქვს უფლება, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის საწინააღმდეგოდ გაამჟღავნოს პროფესიული საიუდუმლოების შესახებ ინფორმაცია.

დასკვნა:

ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას მიღებული ინფორმაცია არ უნდა გაამჟღავნოს, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, რასაც ითვალისწინებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონი და პროფესიული ეთიკის კოდექსი.

ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/